

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საფეხბურთო კლუბი შუქურა“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ქობულეთი

27 ოქტომბერი
2022 წელი

დირექტორი ირაკლი ბერიძე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ

შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“ დაფუძნდა 2011 წლის 28 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით 446952511. კლუბის 100 %-იანი წილის მესაკუთრეს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო 2021 წლის 20 მაისიდან კლუბის 100 % წილის მართვას ახორციელებს შპს საფეხბურთო კლუბი ქობულეთის შუქურა (446975809).

საჯარო რეესტრის მონაცემებით კლუბის მმართველობაზე და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დირექტორი - ირაკლი ბერიძე.

კლუბი რეგისტრირებულია მისამართზე - საქართველო, ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზ., № 141

შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“-ს ძირითადი მიზანია მონაწილეობის მიღება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა.

კლუბი ძირითადად ფინანსდება საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს მეშვეობით. კლუბი 2021 წელს ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 1-ში.

შენიშვნა 2: სადრიცხო პოლიტიკა

- მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა- განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა ორგანიზაციის

საოპერაციო და სადრიცხო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	<u>დეკემბერი 31, 2021</u>	<u>დეკემბერი 31, 2020</u>
ლარი / 1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი / 1 ევრო	3.5040	4.0233

- ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

- ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივების ჯგუფი
შენობა-ნაგებობები
სატრანსპორტო საშუალებები
ოფისის მოწყობილობა, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა

სასარგებლო
მომსახურების ვადა
59 წელი
7-9 წელი
5-17 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

- არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები

ფეხბურთელის რეგისტრაციის/შემენის ხარჯი აღრიცხულია არამატერიალური აქტივის სახით და ამორტიზებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოშვებული კლუბების ლიცენზირების დებულების დანართი IV-ის მიხედვით.

კლუბის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს ფეხბურთელები. კლუბი ახორციელებს ფეხბურთელების რეგისტრაციის ხარჯის კაპიტალიზაციას, ხოლო შემდეგ კი მის ამორტიზაციას სისტემატურ საფუძველზე ფეხბურთელის კონტრაქტის ვადის განმავლობაში. 2021 წლის 31 დეკემბრით არებული „არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები“ ამორტიზდება 24-დან 30 თვემდე პერიოდზე.

- შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი სპონსორისგან და სხვა შემოსავალი.

დაფინანსება / სუბსიდია - მიღებულ დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

შემოწირულება - შემოწირულების სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე;

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად;

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყანას, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -სთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -სთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე;

2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მოხდა პროგრამის გადგრძელება 2021 წლამდე. ამავე დადგენილებით 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 211,126,949 ლარის ოდენობით.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის #00002568 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა ქვეპროგრამა „ქართული ფეხბურთის განვითარება“. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი განსაზღვრულია 37,417,800 ლარით.

2022 წლის 4 თებერვალს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მიერ წარდგენილ იქნა 2022 წლის ფონდის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვით საბაზისო დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 20,300,000 ლარი.

კლუბებთან გაფორმებულია 2022 წლის I კვარტლის საბაზისო დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებები, შემდეგი მოცულობის მიხედვით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 300,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 140,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო - 70,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 42,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 14,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ხოლო II – IV კვარტლისთვის საბაზისო დაფინანსებისთვის დაიგეგმა ხელშეკრულებების გაფორმება, შემდეგი მოცულობების მიხედვით

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 450,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 360,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო -180,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 108,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 36,000 ლარი (თითოეულ გუნდს)

რაც შეეხება, კლუბების 2022 წლის საპრიზო და პრემიალური ფონდსა და ფინანსურ სტიმულირებასთან დაკავშირებულ დაფინანსებას ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კლუბისთვის ცნობილი არ არის ამ დაფინანსების განხორციელების შესახებ.

აღნიშნული განსაზღვრულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მიზნის უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსური რესურსი მიმდინარე წელს დაემატება ფონდის ბიუჯეტს. ამდენად არსებული ბიუჯეტიდან გამომდინარე, წელს სტიმულირებისა და საპრიზო/პრემიალური დაფინანსების განხორციელება შეუძლებელია.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0	22942	3729
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10560	12190	7915
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	20578	10864	5656
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	20578	10864	5656
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	32928	1128	5103
ძირითადი საშუალებები	3461002	3529364	3412831
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3525068	3576488	3435234
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	16270	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	294784	139296	147609
საგადასახადო ვალდებულებები	113741	44540	44736
გამომუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	87996	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	3774096	4079646	3678810
სულ ვალდებულებები	4270617	4279752	3871155
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	280100	280100	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1025649	-983364	-435921
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-745549	-703264	-435921
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3525068	3576488	3435234
სულ მოკლევადიანი აქტივები	31138	45996	17300
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	2598003	1481251
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	2598003	1481251
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2598003	1481251
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1683254	-989600
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-71666	-88047
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-1754920	-1077647
საოპერაციო მოგება	843083	403604
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-885368	-670947
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-42285	-267343
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-42285	-267343
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-42285	-267343
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-703264	-435921
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-745549	-703264

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22942	22,908
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	<u>-22942</u>	<u>34</u>
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	<u>0</u>	<u>22,942</u>

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	ოფისის მოწყობილობა, კომპიუტერები, ავტო და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
2019 წლის 31 დეკემბერი	999,040	2,648,306	165,773	185,833	3,998,952
შეძენა	164,580	-	40,000	-	204,580
2020 წლის 31 დეკემბერი	1,163,620	2,648,306	205,773	185,833	4,203,532
შეძენა	-	-	3,303	-	3,303
2021 წლის 31 დეკემბერი	1,163,620	2,648,306	209,076	185,833	4,206,835
ცვეთა					
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(315,148)	(143,981)	(126,992)	(586,121)
პერიოდის ცვეთა	-	(45,021)	(21,230)	(21,796)	(88,047)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(360,169)	(165,211)	(148,788)	(674,168)
პერიოდის ცვეთა	-	(45,021)	(10,325)	(16,319)	(71,665)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(405,190)	(175,536)	(165,107)	(745,833)
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	999,040	2,333,158	21,792	58,841	3,412,831
2020 წლის 31 დეკემბერი	1,163,620	2,288,137	40,562	37,045	3,529,364
2021 წლის 31 დეკემბერი	1,163,620	2,243,116	33,540	20,726	3,461,002

შენიშვნა 6. არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები

კლუბის მიერ მიმდინარე პერიოდში განხორციელებული ტრანსფერის ღირებულებამ შეადგინა 51,000 ლარი, რომლის შესაბამისი ამორტიზაცია 19,200 ლარი აღიარებულია მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დეტალური ინფორმაცია ორივე საანგარიშგებო პერიოდზე მოცემულია საბალანსო უწყისში მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯების ნაწილში.

შენიშვნა 7. ბანკის და სხვა სესხები

ბანკის და სხვა სესხები შედგება შპს გლ ტრანსისაგან და ირაკლი თოთლაძისაგან მიღებული (შესაბამისად 2021 წლის 15 ოქტომბრს და 2021 წლის 30 დეკემბერს) უპროცენტო მოკლევადიანი სესხის თანხებისაგან.

კლუბმა შპს გლ ტრანსის სესხი 80,000 ლარი გადაიხადა 2022 წლის 4 მარტს (შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები).

შენიშვნა 8. მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

2021 წლის 31 დეკემბრისათვის კლუბის მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება შეადგენს 21,000 ლარს, რომელიც წარმოიშვა შრომითი ურთიერთობების საფუძველზე შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“-ს და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“-ს შორის ამ უკანასკნელის აღზრდილ ლაშა კვარაცხელიასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2021 წლის 1 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე კლუბს წარმოეჩნა შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“-სთვის ფეხბურთელის წვრთნისა და აღზრდის საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულება 21,000 ლარი ოდენობით.

შენიშვნა 9. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მიმდინარე ვალდებულებები შედგება სავაჭრო ვალდებულებებისგან.

შენიშვნა 10. სხვა გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა გრძელვადიანი ვალდებულების მუხლი მოიცავს უზუფრუქტის ხელშეკრულებებით გადმოცემული ქონებების სახელშეკრულებო ღირებულებებს. მათგან ერთ-ერთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 29 მარტს გამოცემული N57 ბრძანებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის 49-ში მდებარე 2,127 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობა (სტადიონი) და მასზე დამაგრებული 24,976 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (20.42.08.188) ღირებულებით 3,647,346 ლარი (შენობა-ნაგებობის ღირებულება 2,648,306 ლარი, მიწის ღირებულება 999,040 ლარი) შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“-ს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნამდე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა შემდეგნაირად:

შენიშვნა 10. სხვა გრძელვადიანი ვალდებულება (გაგრძელება)

- დაიცვას და შეინარჩუნოს სტადიონის სპორტული ინფრასტრუქტურა უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.
- საფეხბურთო კლუბ ბათუმის დინამოს გაუწიოს შესაბამისი მომსახურება ბათუმში ახალი სტადიონის მშენებლობის დასრულებასა და ექსპლუატაციაში შესვლამდე.
- უზუფრუქტით გადაცემული უძრავი ქონება გამოიყენოს, როგორც მესაკუთრემ და გაუწიოს მომსახურება მესამე პირებს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან უზუფრუქტუარს არ აქვს უფლება გაასხვისოს ან/და იპოთეკით დატვირთოს უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება.

კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე და წინა წლებში მოთხოვნამდე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული მიწები და შენობა-ნაგებობები ჯამური ღირებულებით 3,647,346 ლარი აღრიცხულია ძირითად საშუალებებში და სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში (გადავადებული შემოსავალი).

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში უზუფრუქტის ხელშეკრულებით მიღებულ ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. ამასთან აღნიშნული ცვეთის თანხით მცირდება სხვა გრძელვადიანი ვალდებულება და კლუბის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც გამომუშავებული შემოსავალი სხვა საოპერაციო შემოსავალში, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი. 2020 წელს აქტივის ცვეთის ხარჯმა შეადგინა 45,021 ლარი, ხოლო ვალდებულების შემცირების გზით მიღებულმა შემოსავალმა 405,191 ლარი (მათ შორის 2021 წელს გამომუშავებული შემოსავალი: 45,021; ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრამდე გამომუშავებული შემოსავალი: 360,170 ლარი).

შენიშვნა 11. სააქციო/საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 280,100 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი: 280,100 ლარი).

შენიშვნა 12. სუბსიდიები, შემოწირულებები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან

2021 წლის 31 დეკემბრისათვის სუბსიდიები, შემოწირულებები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიღებული შემოსავლებისგან (2,250 ლარი). (2020 წლის 31 დეკემბერი: 4,200 ლარი).

შენიშვნა 13. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან

2021 წლის 31 დეკემბრისათვის სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში 1,350,926 ლარის ოდენობით, (2020 წლის 31 დეკემბერი: 981,240 ლარი).

შენიშვნა 14. შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისაგან

2021 წლის 31 დეკემბრისათვის შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისაგან მოიცავს კლუბის 100%-ანი წილის მმართველი კომპანიის (შპს საფეხბურთო კლუბი ქობულეთის შუქურა) და ამ კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებულ ფინანსურ შენატანებს კლუბის საბანკო ანგარიშზე შემოწირულების სახით 782,228 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 15. სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

2021 წლის 31 დეკემბრისათვის სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი (430,191 ლარი) მოიცავს უზუფრუქტით მიღებული ქონების ცვეთის ხარჯის ტოლ თანხას 405,191 ლარს (2021 წელი 45,021 ლარი, აქტივის გამოცემიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით 360,170 ლარი), როგორც გამომუშავებულ შემოსავალს აქტივების გადმოცემის შედეგად აღიარებული ვალდებულებიდან (გადავადებული შემოსავალი).

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელების ხელფასის ხარჯები მოიცავს ფეხბურთელების ხელფასს და პრემიას.

შენიშვნა 17. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლების ხელფასებში და ანაზღაურება მოიცავს ფეხბურთელების გარდა სხვა თანამშრომლების ხელფასის ხარჯებს.

შენიშვნა 18. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

	31 დეკემბერი 2021
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	188,443
შეკრების და მივლინების ხარჯი	139,195
მინდვრის მოვლის ხარჯი	121,066
იჯარის ხარჯი	89,950
საწევრო ხარჯი	45,860
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	40,156
მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება	35,969
ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და საწვავის ხარჯი	30,525
მატჩის დღის ხარჯები	30,213
სოციალური დანარიცხები	26,714
კვების ხარჯი	18,571
ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარის ხარჯი	15,585
კომუნალური ხარჯები	8,355
საეჭვო მოთხოვნის ხარჯი	5,500
სანქციები და ჯარიმები	4,360
რემონტის ხარჯი	1,590
საბანკო მომსახურების ხარჯი	1,130
კომუნიკაციის ხარჯი	82,168
სხვა ხარჯი	885,368
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	

შენიშვნა 19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის კლუბი როგორც მოპასუხე ჩართულია მიმდინარე სასამართლო დავაში. კერძოდ, კრედიტორი (მოსარჩელე) სასამართლო საქმის წარმოების წესით მოითხოვს კლუბისაგან 2015 წლის 18 ივლისიდან 31 ივლისამდე გამართული საწვრთნელი შეკრების ღირებულების ანაზღაურებას. კლუბი სერვისის მიღების ფაქტს ადასტურებს და აღიარებული აქვს შესაბამისი ხარჯი, რაც წარმოდგენილია საბალანსო უწყისში სხვა მიმდინარე ვალდებულებების მუხლში. კლუბი მოელის რომ აანაზღაურებს სერვისის ღირებულებას და გადასახდელი თანხა ანგარიშგების თარიღისათვის შეადგენ 97,858 ლარს. კლუბმა შესაბამისი ანარიცხი სასამართლო ბაჟზე 2,882 ლარი სრულად აღიარა მიმდინარე პერიოდში

შენიშვნა 20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის ტიპი	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელფასის და პრემიის ხარჯი	27,600	27,500
წილის მმართველი კომპანია და მისი პარტნიორები	შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისაგან	781,910	-

შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ქართული ფეხბურთის განვითარების ქვეპროგრამის მიხედვით ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში 2022 წელს ეროვნულ ლიგა 1-ში ასპარეზობის შემთხვევაში დაფინანსდებიან საბაზისო დაფინანსებით - 750,000 ლარი (300,000 ლარი პირველ კვარტალში), ხოლო, ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსებით - 500,000 ლარი (140,000 ლარი პირველ კვარტალში). ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის კლუბისთვის არ არის ცნობილი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან 2022 წელს მისაღები პრემიალური და საპრიზო ფონდის შესახებ.

2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ 2022 წლის 7 მარტამდე პერიოდში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან კლუბს ჩაერიცხა 1,046,500 ლარი, ხოლო შენატანები/შემოწირულობების სახით დაკავშირებული მხარეებისაგან 114,220 ლარი.

კლუბმა 2022 წლის 4 მარტს სრულად გაისტუმრა შპს გლ ტრანსის სესხი 80,000 ლარი.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

- დოკუმენტის დასასრული -